

შეტყობინება მეთერთმეტე
სიღრმისეული მნიშვნელობა შიშისა უფლის წინაშე
ღმერთის სახლმშენებლობაში

აღგილები წერილიდან: იგავ. 1:1, 7; 2:4-5; 3:5-10; 8:13; 9:10; 10:27;
14:2, 26-27; 15:16, 33ა; 16:6; 19:23

- I. პირველი პრინციპი, რომლის თანახმადაც ადამიანს შეუძლია იცხოვროს სათანადო ადამიანური სიცოცხლით, არის ის, რომ მას უნდა ეშინოდეს უფლის, მოკრძალებული იყოს უფლის წინაშე; გვეშინოდეს უფლის – ნიშნავს გვეშინოდეს, რომ შეურაცხყოფა მივაყენოთ მას, დაგვარგოთ მისი თანდასწრება და გვეშინოდეს, რომ არ მივიღოთ ის როგორც ჩვენი ჯილდო მომავალ საუკუნეში; ჩვენ უნდა გვეშინოდეს, რომ გამოვტოვოთ უფლის ღიმილი ამ საუკუნეში და მისი ჯილდო მომავალ საუკუნეში – იგავ. 1:1, 7; ეფეს. 4:30; 2 კორ. 5:9-10:
- ა. გვეშინოდეს უფლის – ნიშნავს ყველაფერში დაკავშირებული ვიყოთ მასთან ყურადღებითა და პატივისცემით, არ დაგვავიწყდეს, რომ ის არის შესანიშნავი ღმერთი, რომელმაც შეგვქმნა ჩვენ (ესაია 43:7); შიში უფლის წინაშე გვიცავს ჩვენ ბოროტებისაგან; ის ასევე აღგვძრავს ჩვენ, რომ გავიზიაროთ სხვების ტანჯვები და აღმოვუჩინოთ მათ წყალობა და თანაგრძნობა.
 - ბ. გვეშინოდეს უფლის – ნიშნავს არა მარტო გავექცეთ ცოდვებს, არამედ უფრო მეტიც, უარი ვთქვათ ჩვენს „მეზე“; გვეშინოდეს უფლის – ნიშნავს გვეშინოდეს არა უბრალოდ იმის, რომ ჩვენ შევცოდეთ ან რომ ჩვენ ვართ ქვეყნიურები, არამედ იმის, რომ ჩვენი საქმეები გამოდის თვითონ ჩვენგან, და არა უფლისაგან – მათე 16:24; 2 კორ. 4:5.
 - გ. ღმერთის შიში არის სიბრძნის დასაწყისი, და ცოდნა წმიდისა (ღმერთის) – არის გაგება; ცოდნა, სიბრძნე და გაგება გამოდის ღმერთიდან; თუ ჩვენ გვექნება მისი შიში, მოკრძალება მის წინაშე, ეს იქნება ჩვენი ქონება – იგავ. 1:1, 7; 2:4-5; 3:5-10; 8:13; 9:10; 10:27; 14:2, 26-27; 15:16, 33ა; 16:6; 19:23.
- II. ესაია წინასწარმეტყველებდა, რომ იეჰოვას სული – სიბრძნის სული, გაგების სული, რჩევის სული, ძლევაგამოსილების სული, ცოდნის სული და იეჰოვას შიშის სული – დაივანებს ქრისტეზე – ესაია 11:1-2:
- ა. სული იყო უფალ იესოსთან მუდმივად, და სული იყო ერთი მასთან; ის დადიოდა სულით და ცხოვრობდა სულში ცხოვრების მეშვეობით, სულით, სულის მეშვეობით და სულის წყალობით; ესაიას 11:2-ში ნაჩვენებია, რომ უფლის ადამიანურ ცხოვრებაში სული იყო გამოვლენილი ყველა ზემოთ ჩამოთვლილ თვისებასთან ერთად – ლუკა 4:1, 14; 10:21; იოანე 1:32; მათე 12:28.
 - ბ. თავის ადამიანურ ცხოვრებაში იესო იყო ავსებელი მოკრძალებისა და მორჩილი შიშის სულით უფლის წინაშე; ის ასევე პოულობდა სიხარულს უფლის წინაშე შიშში; თავის აღდგომაში ის არის ახლა მაცოცხლებელი სული, უხვი შეწევნის მომცემი სული იესო ქრისტესი როგორც იეჰოვას შიშის, რომელიც მოიცავს თავის თავში აღუწერელ ადამიანურ ცხოვრებას და მსახურებას უფალ იესოსი – ესაია 11:2-3; ფილიპ. 1:19:

1. არც ერთ ადამიანს არასოდეს ისე არ ეშინოდა ღმერთის, როგორც იესოს; როდესაც ახორციელებდა ღმერთის ახალ აღთქმისეულ მსახურებას, უფალმა იესომ გვითხრა ჩვენ, რომ ის არასოდეს არაფერს არ აკეთებდა თავისით (იოანე 5:19), მას არ ჰქონდა თავისი საკუთარი საქმე (4:34; 17:4), ის არ ლაპარაკობდა თავის აკუთარ სიტყვებს (14:10, 24), ის არაფერს არ აკეთებდა საკუთარი ნებით (5:30), და ის არ ეძებდა საკუთარ დიდებას (7:18).
2. იესო ცხოვრობდა სიცოცხლით, რომელშიც ის ყველაფერს აკეთებდა ღმერთში, ღმერთთან ერთად და ღმერთისათვის; მის ცხოვრებაში იყო ღმერთი, და ის ერთი იყო ღმერთთან; ასეთია სინამდვილე იესოში (ეფეს. 4:20-21); ჩვენ უნდა ვთხოვოთ უფალს როგორც სინამდვილის სულს, შეგვიყვანოს ჩვენ მისი მორჩილების სიცოცხლის და მის მიერ მამის მორჩილების სინამდვილის განცდაში (იოანე 16:13; ფილიპ. 2:5-11).
3. დღითი დღე ჩვენ მთლიანად და აბსოლუტურად უნდა გავეხსნათ მამას და ვთხოვოთ მას, რომ გაგვაგოს ჩვენ აღმდგარი ქრისტეთი როგორც ყოვლისმომცველი სულით, რომელიც არის ასევე უფლის წინაშე შიშის სული, რომელიც მოიცავს თავის თავში უფალ იესოს ადამიანურ ცხოვრებასა და მსახურებას – ლუკა 11:5-13.

III. გვეშინოდეს ღმერთის – ნიშნავს დაიმედებული ვიყოთ მასზე – იგაგ. 3:5-8, 26; 16:1, 9, 20, 33; 19:21; 30:5-6:

- ა. იგაგების 3:5-8-ში ჩვენთვის მოცემულია დავალება, რომ დაიმედებული ვიყოთ უფალზე მთელი ჩვენი გულით და არ ვეყრდნობოდეთ ჩვენს გონებას; ჩვენს ყველა გზაზე ჩვენ უნდა ვაღიაროთ ის, და ის გახდის პირდაპირს ჩვენს ბილიკებს; ჩვენ არ უნდა ვიყოთ ბრძენები ჩვენს თვალში; ჩვენ უნდა გვეშინოდეს უფლის და ჩამოვშორდეთ ბოროტებას; ეს იქნება განკურნება ჩვენი სხეულისათვის და გაახლება ჩვენი ძვლებისათვის.
- ბ. კურთხეულია კაცი, რომელიც დაიმედებულია იეჰოვაზე; იეჰოვა იქნება მისი დასაყრდენი. წყლის პირას დარგული ხესავით იქნება, წყაროსკენ გაიდგამს ფესვებს და გვალვის დადგომა არ შეაშინებს; ფოთლები ამწვანებული ექნება, გვალვიანი წელიწადი ვერაფერს დააკლებს და ნაყოფი არ გამოეღვეა“ – იერ. 17:7-8:
 1. ღმერთის სახლმშენებლობის თანახმად, ადამიანი, რომელიც დაიმედებულია ღმერთზე, ჰგავს წყალთან დარგულ ხეს, რომელიც აღნიშნავს ღმერთს როგორც ცოცხალი წყლების სათავეს – 2:13.
 2. ხე იზრდება მდინარის ახლოს, იწოვს წყლის მთელ სიმდიდრეს; ეს არის სურათი ღმერთის სახლმშენებლობისა, რომელიც ხორციელდება მისი დარიგების მეშვეობით; რათა მივიღოთ ღვთაებრივი დარიგება, ჩვენ, ხეებმა, უნდა შევიწოვოთ ღმერთი როგორც წყალი შდრ. 1 კორ. 3:6.
 3. ჩვენში, ხეებში, დარიგებული სიმდიდრე შეწვენის მომცემი ღმერთისა ნერგავს ჩვენს შემადგენლობაში ღმერთის ღვთაებრიობას და იწვევს ჩვენს ზრდას ღმერთის ზომის თანახმად (კოლ. 2:19); ასე ჩვენ და ღმერთი

ვხდებით ერთიანი, ვ ვაქვს ერთნაირი ელემენტები, არსი, შემადგენლობა და გარეგანი იერი (გამოცხ. 4:3; 21:11).

- გ. ვინც უსმენს სიტყვას, ის ჰპოვებს სიკეთეს, და ნეტარია ის, ვინც დაიმედებულია უფალზე (იგავ. 16:20); უფალი იქნება ჩვენი იმედი და შეინახავს ჩვენს ფეხს დაპყრობისაგან (3:26).
- დ. ღმერთის მოყვარულები სწავლობენ ღმერთის შიშს, მიდიან უფალთან წერილებში (2:3-5; იოანე 5:39-40); ჩვენ მოცემული გვაქვს ბრძანება, რომ მივეკრათ ღმერთის სიტყვას და მოვუსმინოთ მას, რაც არის მოწმობა ჩვენი შიშისა ღმერთის წინაშე (რჯლ. 6:2).

IV. ის, რომ ჩვენ გვეშინია უფლის, ნიშნავს, რომ ჩვენ ასევე პატივს ვცემთ მას:

- ა. იგავის 3:9-10-ში საუბარია, რომ ჩვენ უნდა პატივი ვცეთ უფალს ჩვენი არსებით და ყველაფრის პირველნაყოფებით, რასაც ჩვენ წარმოვქმნით; შემდეგ ჩვენი საცავეები იქნება ავსებული უხვად და ჩვენი ღვინის ჭურჭლები გადაივსება ახალი ღვინით.
- ბ. ჩვენ არ უნდა ვიყოთ ისინი, ვინც შოულობს მეტ ფულს, რათა გადადოს თავისთვის საგანძური მომავლისათვის; სულ მცირე მეთაუდი, პირველნაყოფები იმის, რასაც წარმოვქმნით, უნდა მივცეთ ღმერთს; ჩვენ ყოველთვის უხვად უნდა გავცეთ, რაც მოგვცა ჩვენ ღმერთმა; ეს პატივს სცემს ღმერთს – მალ. 3:7-12; 2 კორ. 9:6-8.
- გ. ჩვენ უნდა ვევედროთ უფალს, რათა მან გახადოს ჩვენი გული უბრალო შიშში მისი სახელის წინაშე; „მასწავლე მე, ო, იეჰოვა, შენი გზები; მე ვივლი შენს ჭეშმარიტებაში. გახადე ჩემი გული უბრალო შიშში შენი სახელის წინაშე“ – ფსალ. 86:11.
- დ. ჩვენ უნდა გავიწმინდოთ ხორცისა და სულის ყოველგვარი შებილწვისაგან, ვსრულყოთ სიწმიდე შიშში ღმერთის წინაშე; ღმერთის შიში აქ აღნიშნავს, რომ ჩვენ ვერ ვბედავთ შევეხოთ იმას, რაც არ ეკუთვნის ღმერთს ან არ არის დაკავშირებული მასთან – 2 კორ. 7:1; 6:17.
- ე. ვიყოთ შიშში ქრისტეს წინაშე ნიშნავს გვეშინოდეს, რომ შეურაცხყოფა მივაყენოთ მას როგორც თავს; ეს გამოიწვევს ჩვენს მორჩილებას ერთმანეთისადმი; ჩვენ უნდა ვემსახუროთ უფალს შიშით; მაშინ ჩვენ გვეყვარება უფალი, რათა ვიხაროთ უფალში და დავტკბეთ მისით – ეფეს. 5:18-21; ფსალ. 2:11-12; ებრ. 12:28.
- ვ. ყველა ჩვენგანს უნდა ჰქონდეს სათანადო შიში ღმერთის წინაშე, რადგან ჩვენ ყველანი, ქრისტეს მორწმუნეები, გამოვცხადდებით ქრისტეს სასამართლოს ტახტის წინაშე; იმ დროს ქრისტე გაასამართლებს თავის მორწმუნეებს თავისი დაბრუნებისას – გაასამართლებს არა მათ მარადიულ გადარჩენასთან დაკავშირებით, არამედ მათ მოწყობით ჯილდოსთან დაკავშირებით – 2 კორ. 5:10; 1 კორ. 4:4-5; 3:13-15; რომ. 14:10.
- ზ. უფლის შიში არის შესაძლებლობა, რომ გავიხანგრძლივოთ სიცოცხლე (იგავ. 10:27); ღმერთს უყვარს, გადაარჩენს, იცავს, აკურთხებს და უზრუნველყოფს თავის მოშიშებს (ფსალ. 103:11, 13, 17; 85:9; 60:4; იგავ. 14:26-27; ფსალ. 115:12-13; 34:9; 111:5).

თ. მათი მაგალითები, ვისაც ეშინოდა უფლის, არიან ნოე (ებრ. 11:7), აბრაამი (დაბ. 22:12), იოსები (42:18), დავითი (ფსალ. 2:11-12; 5:7), ნეემია 1:11; 5:9, 15) და ადრეული ეკლესია (საქმე 9:31).

V. წმიდა შიში უფლის წინაშე – ეს სინამდვილეში არის სათავე სინარჯის (ფსალ. 2:11) როგორც სიცოცხლის სათავეს (იგავ. 14:27) და როგორც სიცოცხლის ხის (11:30), რათა დაარიგოს ღმერთი ჩვენში მისი სახლმშენებლობის განხორციელებისათვის:

ა. შიში უფლის წინაშე არის სიცოცხლის სათავე, რომელიც საშუალებას გვაძლევს, თავი ავარიდოთ სიკვდილის ხაფანგებს; გვეშინოდეს უფლის, დაიმედებული ვიყოთ უფალზე და მოვძებნოთ თავშესაფარი უფლის სახელში – ნიშნავს, ვიართ სიცოცხლის ბილიკებზე (2:19; 5:6; 10:17; 14:27; 19:23; ფსალ. 16:11); სიცოცხლის ბილიკები არის სიცოცხლის ხის ბილიკები, რომლის სათავეც არის თვით ღმერთი (იგავები 3:13, 18; 11:30; 13:12; 15:4).

ბ. შიშს უფლის წინაშე მიყვავართ სიცოცხლისაკენ; ეს არის ვიწრო გზა (გზა მცირეოდენის, და არა ბევრის გზა), რომელსაც მიყვავართ სიცოცხლისაკენ; სიცოცხლის ბილიკები განკუთვნილია იმისათვის, რომ ჩვენ ვიცხოვროთ ღმერთში და ამგვარად შევეხოთ სიცოცხლეს და მოვიპოვოთ სიცოცხლე; ეს ბილიკები წარმოადგენს გზებს, რომლებიც ღმერთმა მოათავსა ჩვენს გულში იმისათვის, რომ ჩვენ შევიდეთ მასში – 19:23; მათე 7:13-14; ფსალ. 84:5.

გ. სიკვდილის გზები არის კეთილისა და ბოროტის შეცნობის ხის გზები, რომლის სათავეც არის სატანა და რომელიც ვლინდება ჩვენს „მეში“; ვიცხოვროთ ჩვენს „მეში“ – ნიშნავს ვიყოთ ღმერთის თანდასწრების გარეშე, ვიართ სიბნელის გზებით და ვიყოთ სიცოცხლეს მოკლებული – იგავ. 2:13; 3:5-7; 14:12; 16:25; ეფეს. 5:2, 8-9.

VI. ღმერთი დაგვიბრდა, რომ მოგვცემდა ჩვენ, თავის ხალხს, ერთ გულსა და ერთ გზას, რათა გვეშინოდეს მისი ყოველთვის, ჩვენივე და ჩვენი შვილების სიკეთისათვის ჩვენ შემდეგ, და ის ნერგავს თავის შიშს ჩვენს გულებში, რათა ჩვენ ზურგი არ შევაქციოთ მას – იერ. 32:39-40:

ა. ჩვენ ყველას, ღმერთის მიერ ამორჩეულ ადამიანებს, უნდა გვქონდეს ერთი გული, რათა გვიყვარდეს ღმერთი, ვეძებოთ ღმერთი, ვიცხოვროთ ღმერთი და შევდგეთ ღმერთით, რათა ჩვენ ვიყოთ მისი გამოსატყულება, და ჩვენ უნდა გვქონდეს ერთი გზა – თვითონ სამერტიანი ღმერთი როგორც სიცოცხლის შინაგანი კანონი მის დვთაებრივ შესაძლებლობებთან ერთად – მუხ. 39; 31:33-34; იოანე 14:6ა; 8:2.

ბ. ეს ერთი გული და ერთი გზა წარმოადგენს ერთმშინვიერებას (საქმე. 1:14; 2:46; 4:24; რომ. 15:6); დაყოფა ეს არის იმის შედეგი, რომ ადამიანების გულში არის სწრაფვა რაღაცისაკენ, გარდა უფლის, და ისინი დებულობენ გზას, განსხვავებულს ქრისტესაგან.

გ. ღმერთმა შექმნა მარადიული აღთქმა, ახალი აღთქმა; ამ აღთქმის თანახმად, ღმერთი არ შეგვაქცევს ზურგს, და ის ნერგავს თავის შიშს ჩვენს გულებში, რათა ჩვენ არ შევაქციოთ მას ზურგი – იერ. 32:40.

დ. როდესაც ჩვენ გვეშინია ღმერთის, ის დარიგებას გვაძლევს ჩვენ გზაზე, რომელიც ჩვენ უნდა ავირჩიოთ, და ჩვენ შეგვიძლია გავიგოთ ღმერთის დაფარული რჩევა და მისი აღთქმა; მხოლოდ მათ, ვისაც ეშინიათ ღმერთის შეუძლიათ მიიღონ გამოცხადება ღმერთის მის აღთქმაზე, და ის აძლევს თავის დაფარულ რჩევას მხოლოდ მათ, ვისაც ეშინია ღმერთის – ფსალ. 25:12, 14.

VII. შიში უფლის წინაშე და სიყვარული უფლისა არის ორი საოცარი შედეგი ჩვენი ცოდვების პატიებისა:

- ა. ღმერთის მიერი პატიება არ აღძრავს ადამიანს, რომ გახდეს თავხედი და უგუნური; ღმერთის მიერი გადარჩენის მაღლს მიჰყავს ადამიანი შიშთან უფლის წინაშე; „შენ გაქვს ცოდვების პატიება, რათა ეშინოდეთ შენი“ – 130:4.
- ბ. ღმერთის მიერი პატიების მაღლი ასევე აღგებრავს ჩვენ, რომ გვიყვარდეს ღმერთი; ცოდვილს ლუკას სახარებაში ძალიან შეუყვარდა უფალი იმიტომ, რომ უფალმა ბევრი აპატია მას – 7:39-50.
- გ. რაც უფრო მეტს გვაპატიობს უფალი, უფრო მეტად გვეშინია მისი; ხოლო რაც უფრო მეტად გვეშინია მისი, უფრო მეტად გვიყვარს ის; რაც შეეხება უარყოფითი მხრივ, ვინაიდან ჩვენ გვეშინია მისი, ჩვენ თავს ვიკავებთ იმისაგან, რომ გავაკეთოთ რაღაც მისთვის არ მოსაწონი; რაც შეეხება დადებითი მხრივ, ვინაიდან ჩვენ გვიყვარს ის, ჩვენ ვაკეთებთ იმას, რაც მოსაწონია მისთვის.

VIII. იგაგების 31-ე თავში წარმოდგენილია ორი ნიმუში მათი, ვისაც ეშინია უფლის; ერთი მხრივ, ჩვენ უნდა ვიყოთ როგორც მეფე, სამეფო კაცი, მსგავსი უფლისა, რომელსაც აქვს ძალაუფლება, რომ მართოს; მეორე მხრივ, ჩვენ უნდა ვიყოთ ღირსეული დედაკაცი, რომელმაც იცის როგორ მოაწყოს მეურნეობა, აწარმოოს საქმეები, გამოავლინოს ზრუნვა და უზრუნველყოს ყოველივე აუცილებლით, ამის მეშვეობით დააკმაყოფილოს წმიდანების საჭიროება ღმერთის სახელში:

- ა. იგაგების 31:3-9-ში საუბარია სამეფოს მეფეზე – იმაზე, ვინც არ სვამს ღვინოს, არამედ საუბრობს სხვების უფლებაზე და ახორციელებს მართლმსაჯულებას (ეს არის ქრისტეს და მისი გამარჯვებულების წინასახე); მხოლოდ ასეთ პიროვნებას შეუძლია მეფობა:
 - 1. ჩვენი უფალი იყო მთლიანად ღმერთის შეზღუდვის ქვეშ, ამიტომ მას შეეძლო მეფობა ღმერთისათვის; თუ ჩვენ შევძლებთ, რომ ვიყოთ შეზღუდული ღმერთისაგან და ამის მეშვეობით დაუშქვამდებაროთ ჩვენი თავი გარკვეულ ზემოქმედებას, ჩვენ შევძლებთ ვიმეფოთ ღმერთისათვის.
 - 2. როდესაც მართავს ხალხს, მეფე თავიდან უნდა დაემორჩილოს ღმერთის სიტყვის დამოძღვრას, ხელმძღვანელობას, მმართველობას და დადგენილებას; იგივე პრინციპი უნდა გამოვიყენოთ უხუცესების მიმართ ეკლესიაში – რჯლ. 17:14-20:
 - ა) იმისათვის, რომ მართონ ეკლესია, აწარმოონ მისი საქმეები, უხუცესების შემადგენლობა უნდა შეიცვალოს ღმერთის წმიდა

სიტყვით; შედეგად ისინი დაემორჩილებიან ღმერთის ხელმძღვანელობას, ღმერთის მმართველობას და დადგენილებებს.

ბ) მაშინ ბუნებრივად ღმერთი იქნება მათ გადაწყვეტილებებში და უხუცესები წარმოადგენენ ღმერთს ეკლესიის საქმეების მართვაში; მსგავსი წარმოება საქმეების არის თეოკრატია.

ბ. იგავეების 31:10-31-ში აღწერილია ღირსეული დედაკაცი (12:4; 19:14; რუთ. 3:11) – ბრძენი, კეთილი, გულმოდგინე და უნარიანი, რომელსაც შეუძლია გაითავისოს მეურნეობა, აწარმოოს საქმეები და უზრუნველყოს თავისი შინაურები: „მარგალიტზე ძვირფასია იგი (იგავ. 31:10); მრავალი ასული მოქცეულა სანაქებოდ, მაგრამ შენ ყველას გადააჭარბე! (მუხ. 29); ეს ღირსეული დედაკაცი არის წინასახე ეკლესიისა და წმიდანებისა, რომლებსაც უყვართ უფალი:

1. მთავარი განმასხვავებელი ნიშანი ღირსეული დედაკაცისა არის ის, რომ მას ეშინია უფლის (მოწიწებით თაყვანს სცემს უფალს, უსმენს მას, ემსახურება მას და დაიმედებულია მასზე მოკრძალებული პატივისცემით); „მაცდურია მომხიბვლელობა და ამაოა სილამაზე, უფლის მოშიში ქალი კი განდიდებული იქნება!“ – მუხ. 30.
2. ღირსეული დედაკაცის ქმრის გული დანდობილია მასზე; „სიკეთეს მიაგებს მას და არა ბოროტს, მთელი მისი ცხოვრების დღეებში“ (მუხ. 12); „ცნობილია მისი ქმარი კარიბჭეებთან და ქვეყნის უხუცესთა შორის ზის იგი“ (მუხ. 23).
3. ასეთი ღირსეული და კეთილგონიერი დედაკაცი არის უფლისაგან როგორც გვირგვინი თავისი ქმრისა (12:4), მისი შვილები და ქმარი წამოდგებიან და უწოდებენ მას კურთხეულს (31:28); მისი ქმარი ასევე აქებს მას, ამბობს, რომ ის აღემატება ყველა სხვას (მუხ. 29).
4. ქმარს უნდა შეეძლოს, საკუთარი თვალთ დაინახოს თავისი ცოლის „წმინდა ცხოვრების წესი შიშში“, მისი სამკაული უნდა იყოს არა გარეგნული დაწნული თმები და ოქროს სამკაულები ან სამოსი, „არამედ შინაგან, დაფარულ კაცში, უხრწნელ სილამაზეში, ფაქიზ და მშვიდ სულში, რაც ესოდენ ძვირფასია ღმერთის წინაშე“ – 1 პეტ. 3:1-4.
5. სათანადო ეკლესიურ ცხოვრებაში დები უნდა შეიმოსონ „შესაფერისი სამოსელით, მორცხვობით და თავშეკავებით შემკულნი; არა ნაწნავებითა და ოქროთი ან მარგალიტებითა და ძვირფასი ტანსაცმლით, არამედ კეთილი საქმეებით, როგორც შეჭფურით დედაკაცებს, რომლებმაც ღვთისმოსაობა აირჩიეს“ – 1 ტიმ. 2:9-10.
6. ხნიერმა ქალებმაც უნდა გამოავლინონ მოკრძალება მოიქცნენ ისე, რომ „ასწავლონ ყმაწვილქალებს ქმრისა და შვილების სიყვარული, გონიერება, სისუფთავე, ოჯახზე ზრუნვა, სიკეთე, ქმრის მორჩილება, რათა არ იგმობოდეს ღმერთის სიტყვა“ – ტიტ. 2:3-5.

გ. გამარჯვების ასპექტში ჩვენ უნდა ვიყოთ მეფის მსგავსნი; უფლის სიყვარულის ასპექტში ჩვენ უნდა ვიყოთ მსგავსი ღირსეული დედაკაცისა;

თუ ჩვენ ვიქნებით ასეთი ადამიანები, ჩვენ გაგვიჩნდება ფასეულობა და დიდება უფლის წინაშე.